დანართი №7

საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა

(ნიმუში)

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმდა *(ხელშეკრულების ნომერი და თარიღი)*. ხელშეკრულება (შემდგომში "ხელშეკრულება"), რომლის თანახმადაც პრინციპალმა უნდა განახორციელოს *(შესყიდვის ობიექტის დასახელება)* მიწოდება/შესრულება. ზემოხსენებული ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულია წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების _____ % ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი წარუდგენს ბენეფიციარს გარანტიას მოთხოვნილი ავანსის თანხაზე ანუ *(თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად)* ლარზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი ვერ შეასრულებს ხელშეკრულების პირობების თანახმად ნაკისრ ვალდებულებებს, გარანტი კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე აუნაზღაუროს მას ნებისმიერი თანხა ან თანხები, მაგრამ არაუმეტეს ჯამში *(თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად)* ლარის ოდენობით.

*გარანტიის მოქმედების ვადა არის: *(კონკრეტული თარიღი)* 2018 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი თხოვნა ან პრეტენზია, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იყოს გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: *(ბანკის დასახელება/ფილიალი, მისამართი)*.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა, ციფრობრივად და სიტყვიერად და ის გარემოება, რომლის გამოც ხდება მოთხოვნის წარმოდგენა.

გარანტია ავტომატურად უქმდება

- გარანტიის ვადის გასვლით
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

***წინამდებარე გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადას.**